

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ჰექტორ მაქსი წდგრ (HECTOR MAX WG)

საცნობარო ნომერი 130000036844
ვერსია 0.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი 12.05.2020
გამოცემის თარიღი 12.05.2020

აღნიშნული უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი ეყრდნობა ნივთიერებებისა და ნარევების კლასიფიკაციისა და ეტიკეტების შესახებ გაერთიანებული ერების გლობალური ჰარმონიზებული სისტემის (UN GHS) სტანდარტებით გათვალისწინებულ სტრუქტურას და შეიცავს კლასიფიკაციისა და იდენტიფიკაციის შესახებ ინფორმაციას საერთაშორისოდ აღიარებული წესების შესაბამისად. არსებული ზემოქმედების ზღვრები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ყველა ქვეყნის მარეგულირებელ სტანდარტებს.

პარაგრაფი 1: ნივთიერების/ნარევისა და კომპანიის/საწარმოს იდენტიფიკაცია

1.1. პროდუქტის იდენტიფიკატორი

პროდუქტის სახელწოდება : ჰექტორ მაქსი წდგრ (HECTOR MAX WG)
სინონიმები : B12825042
DPX-QKS91 66.5 WG

1.2. ნივთიერების ან ნარევის მიზნობრივი იდენტიფიცირებული გამოყენება და რეკომენდებული შეზღუდვები

ნივთიერების /ნარევის გამოყენება : ჰერბიციდი

1.3. უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის მომწოდებლის მონაცემები

კომპანია : „დიუპონ ინტერნეიშენალ ოპერეიშენ ს.ა.რ.ლ.“
DuPont International Operations S.a.r.l.
2, chemin du Pavillon
CH-1218 Le Grand-Saconnex / GE
შვეიცარია
ტელეფონი : +41 (0) 22 717 51 11
ტელეფაქსი : +41 (0) 22 717 51 09
ელ-ფოსტა : SDS@corteva.com

1.4. გადაუდებელი დახმარების ტელეფონის ნომერი

გადაუდებელი დახმარების ნომერი : +(44)-870-8200418 (CHEMTREC)
: ტოქსიკოლოგიური ცენტრები შეიძლება ფლობდეს მხოლოდ პროდუქტების შესახებ (EC) 121272/2008 რეგულაციისა და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელ ინფორმაციას.
მომწოდებელი : "დიუპონ დე ნემური ს.ა.ს." (საფრანგეთი)
Du Pont de Nemours (France) S.A.S.
82, rue de Wittelsheim
F-68701 Cernay Cedex
ტელეფონი : +33 (0) 3 89 38 38 38

პარაგრაფი 2. საფრთხეების იდენტიფიკაცია

2.1 ნივთიერების ან ნარევის კლასიფიკაცია

კლასიფიკაცია ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 1272/2008 (CLP) რეგულაციის შესაბამისად

თვალის გაღიზიანება, კატეგორია 2 H319: იწვევს თვალის სერიოზულ გაღიზიანებას.

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ჰექტორ მაქსი წდგრ (HECTOR MAX WG)

საცნობარო ნომერი 130000036844
ვერსია 0.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი 12.05.2020
გამოცემის თარიღი 12.05.2020

მოკლევადიანი (მწვავე) საშიშროება წყლის ორგანიზმებისათვის, კატეგორია 1

H400: ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის.

გრძელვადიანი (ქრონიკული) საშიშროება წყლის ორგანიზმებისათვის, კატეგორია 1

H410: ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის მოქმედების გრძელვადიანი შედეგებით.

სპეციფიკური სამიზნე ორგანოს ტოქსიკურობა – განმეორებითი ექსპოზიცია, კატეგორია 2

H373: შეიძლება გამოიწვიოს ორგანოების დაზიანება ხანგრძლივი ან განმეორებითი ექსპოზიციის დროს.

2.2 ეტიკეტის ელემენტები

ეტიკეტირება ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 1272/2008 (CLP) რეგულაციის შესაბამისად



გაფრთხილება

H319:

იწვევს თვალის სერიოზულ გაღიზიანებას.

H373:

შეიძლება გამოიწვიოს ორგანოების დაზიანება ხანგრძლივი ან განმეორებითი ექსპოზიციის დროს.

H410:

ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის მოქმედების გრძელვადიანი შედეგებით.

ზოგიერთი ნივთიერების ან ნარევის სპეციალური მარკირება

EUH401 ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე რისკების თავიდან ასაცილებლად, დაიცავით გამოყენების ინსტრუქციები.

P260

არ შეისუნთქოთ მტვერი/კვამლი/აირი/ნისლი/ორთქლი/შხეფები.

P273

პროდუქტი არ უნდა მოხვდეს ბუნებრივ გარემოში.

P280

გაიკეთეთ თვალის დამცავი/სახის დამცავი საშუალებები.

P314

თუ თავს ცუდად გრძობთ მიიღეთ სამედიცინო რჩევა/დახმარება.

P337+P313

თუ თვალის გაღიზიანება გრძელდება, მიიღეთ სამედიცინო რჩევა/დახმარება.

P391

შეაგროვეთ დაღვრილი/დაფრქვეული პროდუქტი.

ეტიკეტირება EU 67/548/EEC ან 1999/45/EC დირექტივების შესაბამისად

SP 1

არ დააბინძუროთ წყლები პროდუქტით ან მისი ტარით (არ გაწმინდოთ გამოყენებული მოწყობილობა ზედაპირული წყლის სიახლოვეს / თავიდან აიცილეთ ფერმებიდან და გზებიდან სადრენაჟე სისტემებით დაბინძურება).

2.3. სხვა რისკები

მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

პარაგრაფი 3. შემადგენლობა/ ინფორმაცია ინგრედიენტების შესახებ

3.1. ნივთიერებები

არ ექვემდებარება შევსებას.

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ჰექტორ მაქსი წდგრ (HECTOR MAX WG)

საცნობარო ნომერი 130000036844
ვერსია 0.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი 12.05.2020
გამოცემის თარიღი 12.05.2020

3.2. ნარეგები

კლასიფიკაცია დირექტივის 67/548/EEC შესაბამისად	კლასიფიკაცია რეგულაციის (EU) 1272/2008 (CLP) შესაბამისად	კონცენტრაცია
--	--	--------------

დეკამბა (CAS-No.1918-00-9) (EC-No.217-635-6)

Xn;R20/22 Xi;R41 R50/53	მწვავე ტოქ. 4; H302 მწვავე ტოქ. 4; H332 თვალის დაზ. 1; H318 წყლისათვის კრონიკული 3; H412	68.3820 %
-------------------------------	---	-----------

ნიკოსულფურონი (CAS-No.111991-09-4)

N;R50/53	წყლისათვის მწვავე 1; H400 წყლისათვის კრონიკული 1; H410	10.05 %
----------	---	---------

რიმსულფურონი (CAS-No.122931-48-0)

N;R50/53	წყლისათვის მწვავე 1; H400 წყლისათვის კრონიკული 1; H410	2.3 %
----------	---	-------

კვარცი (CAS-No.14808-60-7) (EC-No.238-878-4)

T;R49 Xn;R48/20	STOT RE 1; H372	>= 3 - < 10 %
--------------------	-----------------	---------------

ნატრიუმის ჰიდროქსიდი (CAS-No.1310-73-2) (EC-No.215-185-5)

	კანის კორ. 1A; H314	>= 3 - < 10 %
--	---------------------	---------------

კრისტობალიტი (CAS-No.14464-46-1) (EC-No.238-455-4)

T;R49 Xn;R48/20	STOT RE 1; H372	>= 3 - < 10 %
--------------------	-----------------	---------------

ამ პარაგრაფში მითითებული R-ფრაზების სრული ტექსტი იხილეთ მე-16 პარაგრაფში.

ამ პარაგრაფში მითითებული H-ფრაზების სრული ტექსტი იხილეთ მე-16 პარაგრაფში.

პარაგრაფი 4. პირველადი დახმარების ზომები

4.1. პირველადი დახმარების ზომების აღწერა

- ზოგადი რჩევა : უგონო მდომარეობაში მყოფ ადამიანს არ გადააყლაპოთ არაფერი. ექიმთან ან ტოქსიკოლოგიური კონტროლის ცენტრში დარეკვისას, ან სამკურნალოდ წასვლისას, თან იქონიეთ პროდუქტის ტარა ან ეტიკეტი.
- ჩასუნთქვისას : დაზარალებული გაიყვანეთ სუფთა ჰაერზე. შეიძლება საჭირო გახდეს ხელოვნური სუნთქვის ჩატარება და/ან ჟანგბადის მიწოდება. მნიშვნელოვანი ზემოქმედების შემდეგ მიმართეთ ექიმს.

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ჰექტორ მაქსი წდგრ (HECTOR MAX WG)

საცნობარო ნომერი 130000036844
ვერსია 0.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი 12.05.2020
გამოცემის თარიღი 12.05.2020

- კანზე მოხვედრისას : დაუყოვნებლივ გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. დაუყოვნებლივ ჩამოიბანეთ დიდი რაოდენობის წყლითა და საპნით. კანის გაღიზიანების ან ალერგიული რეაქციების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს. გარეცხეთ დაბინძურებული ტანსაცმელი ხელახლა გამოყენებამდე.
- თვალში მოხვედრისას : მოიხსენით კონტაქტური ლინზები, თუ ატარებთ და მოხსნა ადვილია. გახელილი თვალები ნელა და ფრთხილად გამოირეცხეთ სუფთა წყლით 15-20 წუთის განმავლობაში. თუ თვალის გაღიზიანება ნარჩუნდება, მიმართეთ სპეციალისტს.
- ჩაყლაპვისას : მიიღეთ სამედიცინო რჩევა/დახმარება. არ გამოიწვიოთ ღებინება ექიმის ან ტოქსიკოლოგიური კონტროლის ცენტრის მითითების გარეშე. თუ დაზარალებულს გრძობა არ აქვს დაკარგული: გამოივლეთ პირის ღრუში წყლი.

4.2. ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც მწვავე ასევე შეყოვნებული სიმპტომები და შედეგები

- სიმპტომები : ადამიანის ინტოქსიკაციის შემთხვევები არ არის ცნობილი და ექსპერიმენტის პირობებში ინტოქსიკაციის სიმპტომები არ არის ცნობილი

4.3. ნებისმიერი გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და სპეციალური მკურნალობის საჭიროების ჩვენება

- მკურნალობა : სიმპტომური მკურნალობა.

პარაგრაფი 5. ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

5.1. ხანძრის ჩაქრობის საშუალებები

- ხანძრის ჩაქრობის ხელსაყრელი საშუალებები : წყლის ჭავლი, მშრალი ქიმიკატი, ქაფი, ნახშირორჟანგი (CO₂)
- ხანძრის ჩაქრობის შეუსაბამო საშუალებები : დიდი მოცულობის წყლის ჭავლი, (დაბინძურების რისკი)

5.2. ნივთიერებიდან ან ნარევიდან წარმოქმნილი განსაკუთრებული საფრთხეები

- განსაკუთრებული საფრთხეები ხანძრის ჩაქრობის დროს : ხანძრის პირობებში წარმოქმნილი საშიში დაშლის პროდუქტები: ნახშირბადის დიოქსიდი (CO₂), აზოტის ოქსიდები (NO_x)

5.3. რეკომენდაციები მეხანძრეებისთვის

- სპეციალური დამცავი აღჭურვილობა მეხანძრეებისთვის : ჩაიცვით დამცავი სპეცტანსაცმლის სრული კომპლექტი და გამოიყენეთ სასუნთქი ორგანოების ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ჰექტორ მაქსი წდგრ (HECTOR MAX WG)

საცნობარო ნომერი 130000036844
ვერსია 0.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი 12.05.2020
გამოცემის თარიღი 12.05.2020

- დამატებითი ინფორმაცია
- : არ დაუშვავთ ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული წყლით ზედაპირული წყლების ან გრუნტის წყლების სისტემის დაბინძურება. ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული დაბინძურებული წყალი შეაგროვეთ ცალკე. ის არ უნდა ჩაღვართ კანალიზაციაში. ხანძრის ნარჩენებისა და ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული დაბინძურებული წყლის გაუვნებლყოფა უნდა მოხდეს ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად.
 - : (მცირე ხანძრების დროს) თუ ტერიტორია ძლიერ მოიცვა ხანძარმა და პირობები იძლევა საშუალებას, ხანძარს მიეცით თვითჩაქრობის საშუალება, ვინაიდან წყალმა შეიძლება გაზარდოს დაბინძურების ზონა. გააგრძელეთ კონტეინერები/ავზები წყლის ჭავლით.

პარაგრაფი 6. ღონისძიებები შემთხვევითი დაღვრის/გაფანტვის დროს

6.1. პირადი უსაფრთხოების ზომები, დამცავი აღჭურვილობა და საგანგებო პროცედურები

- პირადი უსაფრთხოების ზომები
- : გააკონტროლეთ ტერიტორიაზე დაშვება. პერსონალი გაარიდეთ დაღვრის ადგილსა და ქარპირა მხარეს. თავიდან აიცილეთ მტვრის წარმოქმნა. არ შეისუნთქოთ მტვერი. გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. იხილეთ მე-7 და მე-8 პარაგრაფებში ჩამოთვლილი დამცავი ღონისძიებები.

6.2. გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები

- გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები
- : შეაჩერეთ შემდგომი გაჟონვა ან დაღვრა, თუ ამის გაკეთება უსაფრთხოა. გარემოს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად გამოიყენეთ შესაბამისი კონტეინერი. არ ჩაღვართ ზედაპირულ წყლებში და საკანალიზაციო სისტემაში. არ დაუშვავთ პრეპარატით მიწისქვეშა წყლის სისტემის დაბინძურება. თუ მასშტაბური დაღვრის შეჩერება ვერ ხერხდება, შეატყობინეთ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს. თუ პრეპარატმა დააბინძურა მდინარეები და ტბები ან წყალსადინარები აცნობეთ შესაბამის ორგანოებს. თუ დაღვრის არეალი ფოროვანია, დაბინძურებული მასალა უნდა შეგროვდეს შემდგომი დამუშავების ან უტილიზაციის მიზნით.

6.3. გავრცელების ლოკალიზაციისა და დასუფთავებისათვის საჭირო მასალა და მეთოდები

- დასუფთავების მეთოდები
- : დასუფთავების მეთოდები – მცირე რაოდენობით დაღვრა/დაფრქვევა: მოწმინდეთ ან შეაგროვეთ მტვერსასრუტით და მოათავსეთ შესაბამის კონტეინერში უტილიზაციისათვის.
დასუფთავების მეთოდები — მასშტაბური დაღვრა/დაფრქვევა: არ წარმოქმნათ ფხვნილის ღრუბელი ჯაგრისის ან შეკუმშული ჰაერის გამოყენებით. თავიდან აიცილეთ მტვრის წარმოქმნა.
შეაჩერეთ დაღვრა/დაფრქვევა, შეაგროვეთ ელექტრულად დაცული მტვერსასრუტით ან მოწმინდეთ სველი წესით და გადაიტანეთ შესაბამის

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ჰექტორ მაქსი წდგრ (HECTOR MAX WG)

საცნობარო ნომერი 130000036844
ვერსია 0.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი 12.05.2020
გამოცემის თარიღი 12.05.2020

კონტეინერში ადგილობრივი/ეროვნული რეგულაციების შესაბამისად უტილიზაციისთვის (იხ. პარაგრაფი 13).

თუ გაჟონვის ადგილი არის ძვირფასი ნარგავების და ხეების მახლობელ ნაკვეთზე, პირველადი დასუფთავების შემდეგ მოაშორეთ ნიადაგის ზედაპირის 5 სმ ფენა.

სხვა ინფორმაცია

: არასოდეს დააბრუნოთ დაღვრილი/დაფრქვეული პრეპარატი ქარხნულ ტარაში ხელახლა გამოყენების მიზნით. უტილიზაცია/განთავსება მოახდინეთ ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად.

6.4. მითითება სხვა პარაგრაფებზე

ინდივიდუალური დაცვის ზომების შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-8 პარაგრაფში. უტილიზაციის შესახებ ინსტრუქციები იხილეთ მე-13 პარაგრაფში.

პარაგრაფი 7. მოხმარება და შენახვის პირობები

7.1. სიფრთხილის განსაკუთრებული ზომები გამოყენების დროს

უსაფრთხო გამოყენების რჩევები

: გამოიყენეთ მხოლოდ ჩვენი რეკომენდაციების შესაბამისად. გამოიყენეთ მხოლოდ სუფთა აპარატურა. მოერიდეთ პრეპარატის თვალში, კანზე ან ტანსაცმელზე მოხვედრას. არ შეისუნთქოთ ორთქლი ან შხეფები. გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. პირადი უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-8 პარაგრაფი. სამუშაო ხსნარი მოამზადეთ, როგორც ეს მითითებულია ეტიკეტ(ებ)ზე და/ან მომხმარებლის ინსტრუქციებზე. სამუშაო ხსნარი გამოიყენეთ მომზადებისთანავე – არ შეინახოთ. იმ ადგილებში, სადაც წარმოიქმნება მტვერი უზრუნველყავით სათანადო განიავება. შესვენების დაწყებამდე და პროდუქტის გამოყენების შემდეგ დაუყოვნებლივ დაიბანეთ ხელები. გაიხადეთ და გარეცხეთ დაბინძურებული ტანსაცმლის ხელმეორედ გამოყენებამდე. თავიდან აიცილეთ სამუშაო ადგილზე ექსპოზიციის ზღვრული მაჩვენებლების გადაჭარბება (იხ. პარაგრაფი 8).

აალებისა და აფეთქების საწინააღმდეგო მითითებები

: შეინახეთ სითბოსა და აალების წყაროებისაგან შორს. დახურულ სივრცეებში მოერიდეთ მტვრის წარმოქმნას. დამუშავების პროცესში მტვერმა შეიძლება წარმოქმნას ფეთქებადი ნარევი ჰაერში.

7.2. უსაფრთხო შენახვის პირობები, ნებისმიერი შეუთავსებლობის ჩათვლით

სასაწყობო სივრცესთან და ტარასთან დაკავშირებული მოთხოვნები

: შეინახეთ მხოლოდ უფლებამოსილი პირებისათვის ხელმისაწვდომ ადგილზე. შეინახეთ ქარხნულ ტარაში. შეინახეთ სათანადოდ მარკირებულ ტარაში. შეინახეთ ჰერმეტიკულად თავდახურული მშრალ, გრილ და კარგად განიავებად ადგილზე. შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილზე. შეინახეთ საკვები პროდუქტების, სასმელისა და ცხოველების საკვებისაგან შორს.

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ჰექტორ მაქსი წდგრ (HECTOR MAX WG)

საცნობარო ნომერი 130000036844
ვერსია 0.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი 12.05.2020
გამოცემის თარიღი 12.05.2020

რჩევები შერეულ დასაწყობებაზე : სხვა პროდუქტებთან ერთად შენახვისას განსაკუთრებული შეზღუდვები არ არის.

სხვა მონაცემები : სტაბილურია რეკომენდებულ პირობებში შენახვისას.

7.3. სპეციფიკური საბოლოო გამოყენება

მცენარეთა დაცვის პროდუქტები ექვემდებარება (EC) No 1107/2009 რეგულაციას.

პარაგრაფი 8. ექსპოზიციის კონტროლი/პირადი უსაფრთხოება

8.1. კონტროლის პარამეტრები

თუ ეს ქვეპარაგრაფი ცარიელია, ამ შემთხვევაში მონაცემები არ გამოიყენება. კონტროლის პარამეტრების შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ შესაბამისი რეგულაცია.

8.2. ექსპოზიციის კონტროლი

საინჟინრო კონტროლის ღონისძიებები : უზრუნველყავით სათანადო განიავება, განსაკუთრებით დახურულ სივრცეებში. აღჭურვეთ შესაბამისი გამწოვი ვენტილაციით და მტვრის შემკრები დანადგარებით. გამოიყენეთ საკმარისი განიავება, რათა დასაქმებულებზე ზემოქმედება რეკომენდებული ზღვრების ქვემოთ შეინარჩუნოთ.

თვალეების დაცვა : უსაფრთხოების სათვალეები გვერდითი ფარებით, რომელიც შეესაბამება EN166-ს.

ხელეების დაცვა : მასალა: ნიტრილური რეზინი
ხელთათმნის სისქე: 0.3 მმ
ხელთათმნის სამკლავურების სიგრძე: სტანდარტული ხელთათმნის ტიპი.
დაცვის ინდექსი: მე-6 კლასი
გაცვეთის დრო : > 480 წთ
შერჩეული დამცავი ხელთათმნის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს ევროკავშირის 89/686/EEC დირექტივასა და მისგან მიღებულ სტანდარტს EN374. გთხოვთ დაიცავთ მასალის გამტარობის და დამცავ შრეში შეღწევის (გაცვეთის) დროის შესახებ მომწოდებლის მიერ დადგენილი მითითებები. ასევე მხედველობაში მიიღეთ კონკრეტული ადგილობრივი პირობები, რომლის დროსაც გამოიყენება პროდუქტი, როგორცაა გაჭრის, გაკაწვრის საშიშროება და კონტაქტის დრო. სპეციფიკურ სამუშაო ადგილთან შესაბამისობა უნდა განიხილოთ დამცავი ხელთათმნის მწარმოებელთან. ხელთათმანი უნდა შემოწმდეს გამოყენებამდე. ხელთათმანი უნდა გადაიყაროს ან შეიცვალოს, თუ შეინიშნება დეგრადაციის ან ქიმიური შეღწევადობის ნიშნები. 35 სმ ნაკლები სიგრძის ხელთათმანი უნდა გაიკეთოთ კომბინირებული სახელოს ქვემოთ. სანამ გაიხდით ხელთათმანები გარეცხეთ საპნითა და წყლით.

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ჰექტორ მაქსი წდგრ (HECTOR MAX WG)

საცნობარო ნომერი 130000036844
ვერსია 0.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი 12.05.2020
გამოცემის თარიღი 12.05.2020

კანისა და სხეულის დაცვა

: პროდუქტის წარმოება და დამუშავება: დამცავი სპეცტანსაცმლის სრული კომპლექტი ტიპი 5 (EN 13982-2)

შემზავებლებმა და მტვირთავებმა უნდა გამოიყენონ: დამცავი სპეცტანსაცმლის სრული კომპლექტი ტიპი 5 + 6 (EN ISO 13982-2 / EN 13034). რეზინის წინსაფარი, ნიტრილური რეზინის ჩექმები (EN 13832-3 / EN ISO 20345).

შესხურებით შეწამვლა – ღია სივრცეში:

ტრაქტორი / შემასხურებელი გაფრქვევის შემზღუდველი ჩაჩით: ჩვეულებრივ სხეულის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები არ არის საჭირო.

ტრაქტორი/ შემასხურებელი გაფრქვევის შემზღუდველი ჩაჩის გარეშე: სპეცტანსაცმლის სრული კომპლექტი ტიპი 4 (EN 14605). რეზინის ჩექმები.

მექანიკურად ავტომატიზირებული შეწამვლა სათბურში: ჩვეულებრივ სხეულის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები არ არის საჭირო.

როდესაც განსაკუთრებული გარემოებები მოითხოვს დამუშავებულ ფართობზე ხელმეორედ შესვლის პერიოდის გასვლამდე მუშაობას, ჩაიცვით სპეცტანსაცმლის სრული კომპლექტი ტიპი 6 (EN 13034), ნიტრილური რეზინის ხელთათმანი კლასი 3 (EN 374) და ნიტრილური რეზინის ჩექმები (EN 13832-3 / EN ISO 20345).

წყლის ორთქლის, ასევე ჰაერის მიმართ მდგრადი ტანსაცმლის მასალები, მაქსიმალურად გაზრდის ტარების კომფორტს. მასალები უნდა იყოს მყარი, რათა გამოყენებისას შეინარჩუნოს მთლიანობა და დამცავი თვისებები. ზოგიერთი ქსოვილის ტარების დროს, ერგონომიკის ოპტიმიზაციისთვის შესაძლოა რეკომენდებული იყოს ბამბის საცვლების გამოყენება. მიიღეთ რჩევა მომწოდებლისგან.

ქსოვილის შეღწევადობის მიმართ მდგრადობა უნდა შემოწმდეს რეკომენდებული დაცვის „ტიპისგან“ დამოუკიდებლად, რათა შეფასდეს შესაბამისი აგენტებისა და ექსპოზიციის ტიპის მიმართ მასალის გამძლეობის დონე.

დამცავი ზომები

: დამცავი აღჭურვილობის ტიპი უნდა შეირჩეს კონკრეტულ სამუშაო ადგილზე საშიში ნივთიერების კონცენტრაციისა და რაოდენობის გათვალისწინებით. ყველა ქიმიური ინდივიდუალური დაცვის საშუალება გამოყენებამდე უნდა შემოწმდეს ვიზუალურად. დამცავი ტანსაცმელი და ხელთათმანი უნდა შეიცვალოს ქიმიური ან ფიზიკური დაზიანების, ან დაბინძურების შემთხვევაში. პროდუქტის გამოყენების პერიოდში მხოლოდ სათანადოდ დაცულ მომუშავეს შეუძლია დასამუშაველ ფართობზე ყოფნა.

ჰიგიენური მოთხოვნები

: გამოიყენეთ კარგი სამრეწველო ჰიგიენისა და უსაფრთხოების პრაქტიკის შესაბამისად. რეგულარულად გაწმინდეთ აღჭურვილობა, სამუშაო ფართობი და ტანსაცმელი. სამუშაო ტანსაცმელი შეინახეთ ცალკე. დაბინძურებული სამუშაო ტანსაცმელი არ უნდა გაიტანოთ სამუშაო ზონიდან. შესვენების დაწყებამდე და პროდუქტის მოხმარების შემდეგ დაუყოვნებლივ დაიბანეთ ხელები და სახე. გამოყენების დროს აკრძალულია საკვების მიღება, დალევა ან თამბაქოს მოწევა.

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ჰექტორ მაქსი წდგრ (HECTOR MAX WG)

საცნობარო ნომერი 130000036844
ვერსია 0.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი 12.05.2020
გამოცემის თარიღი 12.05.2020

შეინახეთ საკვებ პროდუქტების, სასმელის და ფურაჟისგან შორს. გარემოს დაცვის მიზნით გაიხადეთ და გარეცხეთ ყველა დაბინძურებული დამცავი საშუალება ხელახლა გამოყენებამდე. დაუყონებლივ გაიხადეთ ტანსაცმელი/ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, თუ პრეპარატი შეაღწევს შიგნით. დაიბანეთ საფუძვლიანად და ჩაიცვით სუფთა ტანსაცმელი. ნარეცხი წყლის გაუვნებლობა მოახდინეთ ადგილობრივი და ეროვნული წესების შესაბამისად.

სასუნთქი გზების დაცვა

- : წარმოება და დამუშავება: ნახევარნილაბი ნაწილაკების ფილტრით FFP1 (EN149).
- შემზავებლებმა და მტვირთავებმა უნდა გამოიყენონ: ნახევარნილაბი ნაწილაკების ფილტრით FFP1(EN149).
- შესხურებით შეწამვლა - ღია სივრცეში: ტრაქტორი/შემასხურებელი გაფრქვევის შემზღუდველი ჩაჩით: ჩვეულებრივ ინდივიდუალური სასუნთქი გზების დაცვის საშუალებები არ არის საჭირო.
- ტრაქტორი/ შემასხურებელი გაფრქვევის შემზღუდველი ჩაჩის გარეშე: ზურგსაკვიდი/მხარზე გადასაკიდებელი შესაწამლი აპარატი: ნახევარნილაბი ნაწილაკების ფილტრით P1 (EN 143).
- მექანიკურად ავტომატიზირებული შეწამვლა სათბურში: ჩვეულებრივ ინდივიდუალური სასუნთქი გზების დაცვის საშუალებები არ არის საჭირო.

პარაგრაფი 9. ფიზიკური და ქიმიური თვისებები

9.1 ინფორმაცია ძირითად ფიზიკურ და ქიმიურ მახასიათებლებზე

- ფორმა : ექსტრუდირებული გრანულები
- ფერი : ღია ყავისფერი, ღია წაბლისფერი
- სუნი : მსუბუქი, ტკბილი
- სუნის შეგრძნების ზღვარი : არ არის განსაზღვრული
- pH : 6,3 10 გ/ლ დროს , მეთოდი: CIPAC MT 75.3
- ლღობის ტემპერატურა/დიაპაზონი : მოცემული ნარევისათვის არ არის ხელმსაწვდომი.
- დუღილის ტემპერატურა/დუღილის დიაპაზონი : არ გამოიყენება
- აალების ტემპერატურა : არ გამოიყენება
- თვითდაჩქარებული დაშლის ტემპერატურა (SADT) : მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი
- აალებალობა (მყარი, გაზი) : ხელს არ უწყობს წვას.
- ანთების ტემპერატურა : მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი
- თერმული დაშლა : მოცემული ნარევისათვის არ არის ხელმსაწვდომი.
- დამჟანგავი თვისებები : პროდუქტი არ არის დამჟანგავი.
- ფეთქებადი თვისებები : არ არის ფეთქებადი
- აფეთქების კვება ზღვარი/აალების კვება ზღვარი : მოცემული ნარევისათვის არ არის ხელმსაწვდომი.
- აფეთქების ზედა ზღვარი/აალების ზედა ზღვარი : მოცემული ნარევისათვის არ არის ხელმსაწვდომი.
- ორთქლის წნევა : მოცემული ნარევისათვის არ არის ხელმსაწვდომი.

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ჰექტორ მაქსი წდგრ (HECTOR MAX WG)

საცნობარო ნომერი 130000036844
ვერსია 0.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი 12.05.2020
გამოცემის თარიღი 12.05.2020

- სიმკვრივე : მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი
- ფარდობითი სიმკვრივე : მოცემული ნარევისათვის არ არის ხელმსაწვდომი.
- მოცულობითი სიმკვრივე : 750 კგ/მ³
- წყალში ხსნადობა : დისპერგირებადი
- განაწილების კოეფიციენტი : არ გამოიყენება
- ნ-ოქტანოლი / წყალი
- თვითაალების ტემპერატურა : არ არის თვითაალებადი
- ხსნადობა სხვა გამხსნელებში : მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი
- სიბლანტე, დინამიკური : მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი
- სიბლანტე, კინემატიკური : მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი
- ორთქლის ფარდობითი სიმკვრივე : არ გამოიყენება
- აორთქლების სიჩქარე : არ გამოიყენება

9.2. დამატებითი ინფორმაცია

სპეციალურად მისათითებელი სხვა მონაცემები არ არის.

პარაგრაფი 10. მდგრადობა და რეაქციის უნარიანობა

- 10.1. რეაქციის უნარიანობა : არ არის განსაკუთრებული საფრთხის შემცველი.
- 10.2. ქიმიური მდგრადობა : პროდუქტი ქიმიურად სტაბილურია შენახვის, გამოყენებისა და ტემპერატურის რეკომენდებულ პირობებში.
- 10.3. სახიფათო რეაქციების შესაძლებლობა : ნორმალურ პირობებში გამოიყენებისას სახიფათო რეაქციები არ არის ცნობილი. პოლიმერიზაცია არ მოხდება. არ იშლება მითითებული წესების შესაბამისად შენახვისა და გამოყენების დროს.
- 10.4. ასარიდებელი გარემოებები : ტემპერატურა: >40°C-ზე. ტენიანობის ზემოქმედება. ნელა იშლება წყლის ზემოქმედებით. თერმული დაშლის თავიდან ასაცილებლად არ გადაახურეთ. ძლიერი დამტვერიანების პირობებში, პრეპარატმა ჰაერში შეიძლება წარმოქმნას ფეთქებადი ნარევი.
- 10.5. შეუთავსებელი მასალები/ნივთიერებები : გასათვალისწინებელი მასალები/ნივთიერებები არ არის.
- 10.6. საშიში დაშლის პროდუქტები : გასათვალისწინებელი მასალები/ნივთიერებები არ არის.

პარაგრაფი 11. ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია

11.1. ინფორმაცია ტოქსიკოლოგიური ეფექტების შესახებ

მწვავე პერორალური ტოქსიკურობა
LD50 / ვირთავა : > 5000 მგ/კგ

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ჰექტორ მაქსი წდგრ (HECTOR MAX WG)

საცნობარო ნომერი 130000036844
ვერსია 0.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი 12.05.2020
გამოცემის თარიღი 12.05.2020

მეთოდი: ტესტი OECD-ის 425 სახელმძღვანელო პრინციპებით.
(მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

მწვავე ინჰალაციური ტოქსიკურობა

LC50 / 4 სთ ვირთაგვა : >5.4 მგ/ლ
მეთოდი: ტესტი OECD-ის 403 სახელმძღვანელო პრინციპებით.
(მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

- დიკამბა

LC50 / 4 სთ ვირთაგვა : 4.46 მგ/ლ
მეთოდი: ტესტი OECD-ის 403 სახელმძღვანელო პრინციპებით.

მწვავე დერმალური ტოქსიკურობა

LD50 / ვირთაგვა : > 5000 მგ/კგ
მეთოდი: ტესტი OECD-ის 402 სახელმძღვანელო პრინციპებით.
(მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

კანის გაღიზიანება

კურდღელი
შედეგი: არ აღიზიანებს კანს.
მეთოდი: ტესტი OECD-ის 404 სახელმძღვანელო პრინციპებით.
(მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

თვალეების გაღიზიანება

კურდღელი
შედეგი: თვალის გამაღიზიანებელი.
მეთოდი: ტესტი OECD-ის 405 სახელმძღვანელო პრინციპებით.
(მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

სასუნთქი გზების ან კანის სენსიბილიზაცია

ზღვის გოჭის მაქსიმიზაციის ტესტი.
შედეგი: ცხოველებზე ტესტირებამ კანზე კონტაქტით არ გამოიწვია სენსიბილიზაცია.
მეთოდი: ტესტი OECD-ის 406 სახელმძღვანელო პრინციპებით.
(მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

განმეორებითი დოზის ტოქსიკურობა

- დიკამბა

პერორალური სხვადასხვა სახეობები
ტოქსიკოლოგიური ეფექტები, რომელიც სამიზნე ორგანოებისთვის ტოქსიკურობის კლასიფიკაციას მოითხოვს არ გამოვლენილა კლასიფიკაციისთვის რეკომენდებული მითითებული მნიშვნელობების ქვემოთ.

- ნიკოსულფურონი

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ჰექტორ მაქსი წდგრ (HECTOR MAX WG)

საცნობარო ნომერი 130000036844
ვერსია 0.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი 12.05.2020
გამოცემის თარიღი 12.05.2020

ჩაყლაპვა სხვადასხვა სახეობები
ზემოქმედების დრო: 90 დღე
ტოქსიკოლოგიურად მნიშვნელოვანი ეფექტები არ გამოვლენილა.

პერორალური – კვება თავგი
ექსპოზიციის დრო: 90 დღე
ტოქსიკოლოგიურად მნიშვნელოვანი ეფექტები არ გამოვლენილა., ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

პერორალური – კვება ვირთაგვა
ექსპოზიციის დრო: 90 დღე
ტოქსიკოლოგიურად მნიშვნელოვანი ეფექტები არ გამოვლენილა., ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

- რიმსულფურონი
პერორალური ვირთაგვა
ცვლილება სისხლის ქიმიური შედგენილობაში, ღვიძლზე ეფექტები, ორგანოების წონის ცვლილება., ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

- ნატრიუმის ჰიდროქსიდი
ინჰალაცია ვირთაგვა
ტოქსიკოლოგიურად მნიშვნელოვანი ეფექტები არ გამოვლენილა.

პერორალური ვირთაგვა
ტოქსიკოლოგიურად მნიშვნელოვანი ეფექტები არ გამოვლენილა.

- კრისტობალიტი
ინჰალაცია ვირთაგვა
ექსპოზიციის დრო: 90 დღე
რესპირატორული ეფექტები.

მუტაგენური მოქმედების შეფასება

- დიკამბა
ცხოველებზე ტესტირებამ არ აჩვენა რაიმე ტიპის მუტაგენური ეფექტი. ძუძუმწოვრების უჯრედების კულტურებზე კვლევებმა გამოავლინა მუტაგენური ეფექტები.

- ნიკოსულფურონი
ცხოველებზე ტესტირებამ არ აჩვენა რაიმე ტიპის მუტაგენური ეფექტი. ძუძუმწოვრების უჯრედების კულტურებზე ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა მუტაგენური ეფექტები.

- ნატრიუმის ჰიდროქსიდი
ცხოველებზე ტესტირებამ არ აჩვენა რაიმე ტიპის მუტაგენური ეფექტი. მტკიცებულებების თანახმად, ეს ნივთიერება ცხოველებში არ იწვევს გენეტიკურ დაზიანებას.

კანცეროგენური მოქმედების შეფასება

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ჰექტორ მაქსი წდგრ (HECTOR MAX WG)

საცნობარო ნომერი 130000036844
ვერსია 0.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი 12.05.2020
გამოცემის თარიღი 12.05.2020

ცხოველებზე ტესტირებამ არ აჩვენა რაიმე ტიპის მუტაგენური ეფექტი.

- ნიკოსულფურონი
არ არის კლასიფიცირებული როგორც ადამიანის მიმართ კანცეროგენული. ცხოველებზე ტესტირებამ რაიმე ტიპის კანცეროგენული ეფექტი არ გამოვლენილა.
- ნატრიუმის ჰიდროქსიდი
არ არის კლასიფიცირებული როგორც ადამიანის მიმართ კანცეროგენული. მტკიცებულებების საერთო წონა მიუთითებს, რომ ნივთიერება არ არის კანცეროგენული.

რეპროდუქციული ტოქსიკურობის შეფასება

- დიკამბა
რეპროდუქციაზე ტოქსიკურობა არ არის.
- ნიკოსულფურონი
რეპროდუქციაზე ტოქსიკურობა არ არის. ცხოველებზე კვლევებმა რეპროდუქციაზე გავლენა არ გამოავლინა. არ ახდენს გავლენას ლაქტაციაზე ან ლაქტაციის გზით.
- ნატრიუმის ჰიდროქსიდი
რეპროდუქციაზე ტოქსიკურობა არ არის. არ ახდენს გავლენას ლაქტაციაზე ან ლაქტაციის გზით. მონაცემები მიუთითებს, რომ ნივთიერება არ არის ცხოველებში რეპროდუქციული ფუნქციის ტოქსიკანტი.

ტერატოგენური მოქმედების შეფასება

- დიკამბა
ცხოველებზე ტესტირებამ არ აჩვენა განვითარებაზე ტოქსიკური მოქმედება.
- ნიკოსულფურონი
ცხოველებზე ტესტირებამ აჩვენა ემბრინის-ჩანასახის განვითარებაზე ზემოქმედება დედის ტოქსიკურობის გამომწვევი ზემოქმედების ექვივალენტურ ან უფრო მაღალ დონეზე.
- ნატრიუმის ჰიდროქსიდი
არსებული მონაცემების თანახმად ცხოველებში ნივთიერება არ ახდენს განვითარებაზე ტოქსიკურ მოქმედებას.

STOT – ერთჯერადი ექსპოზიცია

ნივთიერება ან ნარევი არ არის კლასიფიცირებული როგორც სპეციფიკური სამიზნე ორგანოს მიმართ ტოქსიკური, ერთჯერადი ექსპოზიცია.

ასპირაციის საფრთხე

ნარევს არ გააჩნია თვისებები, რომლებიც ასოცირდება ასპირაციის საშიშროების პოტენციალთან.

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ჰექტორ მაქსი წდგრ (HECTOR MAX WG)

საცნობარო ნომერი 130000036844
ვერსია 0.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი 12.05.2020
გამოცემის თარიღი 12.05.2020

პარაგრაფი 12. ეკოლოგიური ინფორმაცია

12.1. ტოქსიკურობა

თევზების მიმართ ტოქსიკურობა

- ნატრიუმის ჰიდროქსიდი
LC₅₀ / 96 სთ / *Poecilia reticulata* (გუპი): 56 მგ/ლ
- კრისტობალიტი
LC₅₀ / 96 სთ / *Danio rerio* (ზეზრა თევზი)
დაბალი ხსნადობის გამო. წყლის ორგანიზმების მიმართ ტოქსიკურობა ნაკლებად სავარაუდოა.

წყლის მცენარეების მიმართ ტოქსიკურობა

ErC₅₀ / 72სთ / *Desmodesmus subspicatus* (მწვანე წყალმცენარე): 19.2 მგ/ლ.
მეთოდი: ტესტი OECD-ის 201 სახელმძღვანელო პრინციპებით.
(მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

EyC₅₀ / 7 დღე / *Lemna gibba* (ლემნა): 0.00769 მგ/ლ
მეთოდი: ტესტი OECD-ის 221 სახელმძღვანელო პრინციპებით.
(მონაცემები თავად პროდუქტზე) ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

წყლის უხერხემლოების მიმართ ტოქსიკურობა

- ნატრიუმის ჰიდროქსიდი
LC₅₀ / 48 სთ / *Ceriodaphnia dubia* (წყლის რწყილი): 40 მგ/ლ
- კრისტობალიტი
EC₅₀ / 48 სთ / *Daphnia* (წყლის რწყილი)
დაბალი ხსნადობის გამო. წყლის ორგანიზმების მიმართ ტოქსიკურობა ნაკლებად სავარაუდოა.

სხვა ორგანიზმების მიმართ ტოქსიკურობა

- დიკამბა
LD₅₀ / *Colinus virginianus* (ვირჯინიული გნოლი): 216 მგ/კგ
პერორალური ინფორმაციის წყარო: გარე წყაროდან მოწოდებული მონაცემები.

თევზების მიმართ ქრონიკული ტოქსიკურობა

- ნიკოსულფურონი
ცხოვრების ადრეულ ეტაპზე / NOEC / 90 დღე / *Oncorhynchus mykiss* (ცისარტყელა კალმახი): 24 მგ/ლ
მეთოდი: ტესტი OECD-ის 210 სახელმძღვანელო პრინციპებით
ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში

წყლის უხერხემლოების მიმართ ქრონიკული ტოქსიკურობა

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ჰექტორ მაქსი წდგრ (HECTOR MAX WG)

საცნობარო ნომერი 130000036844
ვერსია 0.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი 12.05.2020
გამოცემის თარიღი 12.05.2020

- ნიკოსულფურონი
სტატიკური-განახლება/NOEC / 21 დღე/ Daphnia magna (წყლის რწყილი): 43 მგ/ლ
მეთოდი: ტესტი OECD-ის 202 სახელმძღვანელო პრინციპებით
ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში

12.2. მდგრადობა და დეგრადაცია

ბიოდეგრადაციის უნარი

სრულად არ განიცდის ბიოდეგრადაციას. შეფასება ეყრდნობა მოქმედი ნივთიერებისათვის მიღებულ მონაცემებს.

12.3. ბიოაკუმულაციის პოტენციალი

ბიოაკუმულაცია

არ აქვს ბიოაკუმულაციის უნარი. შეფასება ეყრდნობა მოქმედი ნივთიერებისათვის მიღებულ მონაცემებს.

12.4. მიგრაცია /მობილურობა ნიადაგში

ნიადაგში მობილურობა

არ არის მოსალოდნელი, რომ პროდუქტი იყოს ნიადაგში მობილური. რეალურ პირობებში გამოყენებისას პროდუქტის აქვს ნიადაგში მიგრაციის დაბალი პოტენციალი.

12.5. PBT და vPvB შეფასების შედეგები

მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

12.6. სხვა მავნე ეფექტები

დამატებითი ეკოლოგიური ინფორმაცია

გასათვალისწინებელი სხვა ეკოლოგიური ეფექტები არ არის.

დამატებითი გამოყენების ინსტრუქციები, რომელიც ეხება გარემოს დაცვას იხილეთ პროდუქტის ეტიკეტზე.

პარაგრაფი 13. განკარგვა/უტილიზაცია

13.1. ნარჩენების დამუშავების მეთოდები

პროდუქტი : ადგილობრივი და ეროვნული რეგულაციების შესაბამისად. ნარჩენების უტილიზაცია უნდა მოხდეს შესაბამის ინსენერატორში, რომელსაც აქვს კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული ნებართვა. ნუ დაბინძურებთ ტბორებს, წყალსავალ გზებს ან თხრილებს ქიმიური ნივთიერებებით ან გამოყენებული ტარით.

დაბინძურებული ტარა : დაუშვებელია ცარიელი ტარის ხელმეორედ გამოყენება.

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ჰექტორ მაქსი წდგრ (HECTOR MAX WG)

საცნობარო ნომერი 130000036844
ვერსია 0.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი 12.05.2020
გამოცემის თარიღი 12.05.2020

პარაგრაფი 14. ტრანსპორტირების შესახებ ინფორმაცია

ADR

- 14.1. UN (გაერთიანებული ერები) ნომერი: 3077
- 14.2. გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი: ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება. მყარი, N.O.S. (დიკამბა, ნიკოსულფურონი, რიმსულფურონი)
- 14.3. საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას: 9
- 14.4. შეფუთვის ჯგუფი: III
- 14.5. ეკოლოგიური საფრთხეები: დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-12 პარაგრაფი.
- 14.6. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისათვის: გვირაბში შეზღუდვების კოდი: (-)

IATA_C

- 14.1. UN (გაერთიანებული ერები) ნომერი: 3077
- 14.2. გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი: ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება. მყარი, n.o.s. (დიკამბა, ნიკოსულფურონი, რიმსულფურონი)
- 14.3. საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას: 9
- 14.4. შეფუთვის ჯგუფი: III
- 14.5. ეკოლოგიური საფრთხეები: დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ პარაგრაფი 12.
- 14.6. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისათვის: "დიუპონ"-ის შიდა რეკომენდაციები და ტრანსპორტირების სახელმძღვანელო: ICAO / IATA გადაზიდვა მხოლოდ სატვირთო თვითმფრინავით.

IMDG

- 14.1. UN (გაერთიანებული ერები) ნომერი: 3077
- 14.2. გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი: ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება. მყარი, n.o.s. (დიკამბა, ნიკოსულფურონი, რიმსულფურონი)
- 14.3. საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას: 9
- 14.4. შეფუთვის ჯგუფი: III
- 14.5. ეკოლოგიური საფრთხეები: ზღვის დამაბინძურებელი
- 14.6. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის: განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები არ არის საჭირო.
- 14.7. დაუფასოებელი (ნაყარი) ტვირთების ტრანსპორტირება MARPOL II დანართისა და IBC კოდექსის შესაბამისად არ გამოიყენება.

პარაგრაფი 15. მარეგულირებელი ინფორმაცია

15.1. ნივთიერებისა და ნარეგებისთვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი სპეციფიკური რეგულაციები/ კანონმდებლობა

სხვა რეგულაციები:

პროდუქტი კლასიფიცირდება, როგორც საშიში, რეგულაციის (EC) No.1272/2008 შესაბამისად.
გაითვალისწინეთ 94/33 / EC დირექტივა სამუშაო ადგილზე ახალგაზრდების დაცვის შესახებ.

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ჰექტორ მაქსი წდგრ (HECTOR MAX WG)

საცნობარო ნომერი 130000036844
ვერსია 0.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი 12.05.2020
გამოცემის თარიღი 12.05.2020

გაითვალისწინეთ 98/24/EC დირექტივა სამუშაოზე ადგილზე ქიმიურ აგენტებთან დაკავშირებული რისკებისგან მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

გაითვალისწინეთ 92/85/EEC დირექტივა სამუშაო ადგილზე ფეხმძიმე მუშაკების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

გაითვალისწინეთ 96/82/EC დირექტივა საშიშ ნივთიერებებთან დაკავშირებული დიდი ავარიების საშიშროების კონტროლის შესახებ.

გაითვალისწინეთ 2000/39/EC დირექტივა, რომლითაც ფორმირდება დასაქმების სახეობის მიხედვით მავნე ზეგავლენის ზღვრული ინდიკატორი მაჩვენებლების პირველი სია.

აღნიშნული პროდუქტი სრულად შეესაბამება REACH 1907/2006/EC რეგლამენტის მოთხოვნებს.

პარაგრაფი 16. დამატებითი ინფორმაცია

მე-3 პარაგრაფში მითითებული R- ფრაზების სრული ტექსტი

R20/22	მავნეა ჩასუნთქვისას და გადაყლაპვისას.
R41	თვალის დაზიანების სერიოზული რისკი.
R48/20	საშიშო: ჩასუნთქვის დროს ხანგრძლივი ზემოქმედებისას ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანების საშიშროება.
R48/23	ტოქსიკური: ჩასუნთქვის დროს ხანგრძლივი ზემოქმედებისას ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანების საშიშროება.
R49	ჩასუნთქვისას შესაძლებელია კიბოს განვითარება.
R50/53	ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის, შეიძლება გამოიწვიოს მავნე შორეული შედეგები წყლის გარემოში.

მე-3 პარაგრაფში მითითებული H - ფრაზების სრული ტექსტი

H302	მავნე გადაყლაპვისას.
H314	იწვევს კანის ძლიერ დამწვრობას და თვალის დაზიანებას.
H318	იწვევს თვალის სერიოზულ დაზიანებას.
H332	მავნეა ჩასუნთქვისას.
H372	იწვევს ორგანოების დაზიანებას ხანგრძლივი ან განმეორებითი ექსპოზიციის დროს.
H400	ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის.
H410	ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის გრძელვადიანი შედეგებით.
H412	საშიშოა წყლის ორგანიზმებისათვის გრძელვადიანი შედეგებით.

დამატებითი ინფორმაცია პროფესიონალური გამოყენება

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ჰექტორ მაქსი წდგრ (HECTOR MAX WG)

საცნობარო ნომერი 130000036844
ვერსია 0.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი 12.05.2020
გამოცემის თარიღი 12.05.2020

აბრევიატურები და აკრონიმები

ADR	საშიში ტვირთების საგზაო გადაზიდვების შესახებ ევროპული შეთანხმება
ATE	მწვავე ტოქსიკურობის დადგენა
CAS-No.	ქიმიური ნივთიერებების სარეგისტრაციო სამსახურის საიდენტიფიკაციო ნომერი
CLP	კლასიფიკაცია, მარკირება და შეფუთვა
EbC50	კონცენტრაცია, რომლის დროსაც აღინიშნება ბიომასის 50% შემცირება
EC50	საშუალო ეფექტური კონცენტრაცია
EN	ევროპული ნორმა
EPA	გარემოს დაცვის სააგენტო
ErC50	კონცენტრაცია, რომლის დროსაც ვლინდება ზრდის ტემპის 50%-იანი ინჰიბირება
EyC50	კონცენტრაცია, რომლის დროსაც ვლინდება მოსავლიანობის 50%-იანი ინჰიბირება
IATA_C	საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაცია (სატვირთო)
IBC	დაუფასოებელი სახიფათო ქიმიკატების საერთაშორისო კოდი
ICAO	სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
ISO	სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
IMDG	საერთაშორისო საზღვაო საშიში ტვირთები
LC50	საშუალო ლეტალური კონცენტრაცია
LD50	საშუალო ლეტალური დოზა
LOEC	უმცირესი კონცენტრაცია, რომელზეც აღინიშნება ეფექტი
LOEL	უმცირესი დონე, რომელზეც აღინიშნება ეფექტი
MARPOL	საერთაშორისო კონვენცია გემებიდან ზღვის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად
n.o.s.	სხვაგვარად მითითებული არ არის
NOAEC	დაუფიქსირებელი უარყოფითი ზემოქმედების კონცენტრაცია
NOAEL	დაუფიქსირებელი უარყოფითი ზემოქმედების დონე
NOEC	არაეფექტური კონცენტრაცია
NOEL	არაეფექტური დოზა (ან ექსპოზიციის დონე)
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
OPPTS	პესტიციდებით და ტოქსიკური ნივთიერებებით დაბინძურების პრევენციის ოფისი
PBT	მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური
STEL	მოკლევადიანი ზემოქმედების ზღვარი
TWA	დროში გასაშუალოებული ზემოქმედება (TWA)
vPvB	ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II-ის შესაბამისად



ჰექტორ მაქსი წდგრ (HECTOR MAX WG)

საცნობარო ნომერი 130000036844
ვერსია 0.0 (შეიცვალა: ვერსია 2.0)

განახლების თარიღი 12.05.2020
გამოცემის თარიღი 12.05.2020

შემდგომი ინფორმაცია

გამოყენებამდე გაეცანით „დუპონის“ მიერ მოწოდებულ უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციას.

ყურადღება მიაქციეთ ეტიკეტზე მითითებულ გამოყენების ინსტრუქციას.

(R) დარეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი „ე.ი. დუპონ დე ნემური ენდ კომპანი“ (E.I. du Pont de Nemours and Company)

შენიშვნა: ამ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის მე-11 და მე-12 პარაგრაფებში მოცემული კომპონენტების შესახებ ინფორმაცია, ტექნიკური პროგრესის და ახალი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საფუძველზე რიგ შემთხვევაში შეიძლება არ შეესაბამებოდეს იურიდიულად სავალდებულო კლასიფიკაციას.

წინა ვერსიიდან მნიშვნელოვანი ცვლილება აღნიშნულია ორმაგი ზოლით.

აღნიშნულ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში წარმოდგენილი ინფორმაცია სწორია ჩვენი ცოდნის, ინფორმაციისა და კომპეტენციის ფარგლებში გამოქვეყნებისა და განახლების მომენტისათვის. აღნიშნული ინფორმაცია არის მხოლოდ უსაფრთხოდ მოხმარების, გამოყენების, შენახვის, ტრანსპორტირების, განკარგვის შესახებ სახელმძღვანელო და არ განიხილება როგორც გარანტია ან ხარისხის დაზუსტება. აღნიშნული ინფორმაცია ეხება მხოლოდ კონკრეტულ პრეპარატს (-ებს) და შეიძლება არ იყოს სარწმუნო პრეპარატ(ებ)ისათვის რომელიც გამოიყენება სხვა პრეპარატებთან ნაზავში ან რაიმე ტექნოლოგიურ პროცესში, ან, თუ პრეპარატი შეცვლილია ან დამუშავებული და ეს არ არის მითითებული ტექსტში.